ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისია

ოქმი:**ო47. 47242122**

თარიღი:**30/07/2024**

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N7

დ. ჩოხატაური

23 ივლისი 2024 წელი.

თავმჯდომარეობდა: მარინე ბერაძე.

ესწრებოდნენ: დავით ტყეშელიაძე, დავით გუდავაძე, ზაალ მამალაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ნოდარ ცხომელიძე.

არ ესწრებოდა: მაია გიორგაძე, ლაშა ირემაძე, ბაია ძნელაძე, მარინე თავაძე, ბაჩო ახალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნაბეღლავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის N33 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სსიპ ჩაისუბნის საჯარო სკოლისათვის „ნოდარ დუმბაძის სახელობის ჯვარცხმის საჯარო სკოლის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ, ნოდარ ცხომელიძემ, დავით ტყეშელიაძემ ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნაბეღლავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის N33 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სსიპ ჩაისუბნის საჯარო სკოლისათვის „ნოდარ დუმბაძის სახელობის ჯვარცხმის საჯარო სკოლის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნაბეღლავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნაბეღლავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმი N42-დან ამონაწერი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნაბეღლავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

II საკითხი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის N33 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სსიპ ჩაისუბნის საჯარო სკოლისათვის „ნოდარ დუმბაძის სახელობის ჯვარცხმის საჯარო სკოლის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის N33 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სსიპ ჩაისუბნის საჯარო სკოლისათვის „ნოდარ დუმბაძის სახელობის ჯვარცხმის საჯარო სკოლის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკითხის ინიციატორებისგან წარმოდგენილი იქნა წერილობითი განაცხადი განკარგულებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული უზუსტობა უნდა გასწორდეს და შესაბამისი ცვლილება აისახოს მიღებულ განკარგულებაში.

თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის N33 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სსიპ ჩაისუბნის საჯარო სკოლისათვის „ნოდარ დუმბაძის სახელობის ჯვარცხმის საჯარო სკოლის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისია-კომისიის თავმჯდომარე